

34909



პოპულიარული საფინანსო
სამკითხველო

ა. გ. მართვაიზილი.

თვითნებაგრო
გადასახადები.

ა/ქ. ს. ფ. ს. რ. ფინანსების გამოცემა

ტ ვ ი მ ი ს ი

1925





სტამბა სამხედრო კომისარიატისა კეცხოველის ქ. № 3.
მთავლიტი № 1677 ტირაჟი 2000

1. უკანონი ანუ თვითხელითი გადასახადები.

ამიერკავკასიის ფარგლებში ფულის რეფორმის შემოღებამდის გადასახადთა კანონებს იღებდა სახალხო კომისართა საბჭო და ამტკიცებდა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ფულის რეფორმის შემოღების შემდეგ გადასახადთა დეკრეტები მუშავდება მოსკოვში საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ და იმავე საკავშირო სახკომისაბჭოსა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მტკიცდება.

ამ კანონებში გათვალისწინებულია, როგორც ამიერკავკასიის ცალკე რესპუბლიკების სახალხო კომისრებისა, ისე ადგილობრივ აღმასრულებელ კომოტეტის უფლებამოვალეობანი.

ყველა რესპუბლიკების ფინანსიური ონისძიებანი გაერთიანებული არიან საკავშირო მაშტაბით და, მაშასადამე, გადასახადთა კანონები არ შეიძლება დამოუკიდებლად სწყდებოდენ ადგილობრივ ხელისუფლების მიერ.

გადასახადთა კანონებში გათვალისწინებულია ადგილობრივ ხელისუფლების საჭიროებისათვის ანარიცხი გამოსალებსა და გადასახადზე. გარდა ამისა ადგილობრივ ხელისუფლებას განსაზღვრული უფლება ეძლევა სახსართა გამოძებნის ფარგლებში ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების სასაჩვენებლოდ გამოსალების დაწესებისა.

მაგრამ ადგილობრივი აღმასრულების მიერ დაწესებული გადასახადები არ უნდა აწვებოდენ მძიმე ტვირ-

თად გლეხობას. არსებულ კანონების თანახმად გლეხობამ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უნდა გაიღოს.

მიუხედავად ყველა ამისა ადგილობრივი ხელისუფლება, არსებულ კანონების წინააღმდეგ, ხშირად ახდენს უკანონო განკარგულებას და სცემს თავის კანონებს, რომლის ძალითაც ბეგრავს მოსახლეობას. ასეთი უკანონო განკარგულებანი იცემოდენ ფულის რეფორმის შემოღებამდის. ამის მიზეზი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისათვის საჭირო საშუალებათა უქონლობა იყო. იმ დროს ჩვენ კიდევ არ გვქონდა მტკიცე ვალიუტა. ფულს ღლითი-ღლე ეკარგებოდა ღირებულება. და ამიტო კიდევ დასაშვები იყო, თუ აღმასკომი ადგილობრივ მიმართავდა ხოლმე უკანონო ზომებს საჭირო რესურსების შესავსებად.

ფულის რეფორმის შემოღების შემდეგ კი მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. ფულს ღირებულება ძველებურად არ ეკარგება. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკებში შემავალ ცალკე რესპუბლიკათა სახალხო კომისარიატების შესანახად იძლევა საჭირო სახსარი განსაზღვრულ სახარჯთ-აღრიცხვო ასიგნობებით.

ადგილობრივ აღმასკომის განკარგულებაში იმყოფებიან განსაზღვრული თანხები შტატის შესანახად და აგრეთვე სხვა სახელმწიფო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა უკანონო განკარგულებათა წინააღმდეგ სასწრაფო ზომების მიღება, რგორც ამა თუ იმ რესპუბლიკის მასშტაბით მთლიანად, ისე ცალკე მაზრების მასშტაბითაც.

იმის უყურადღებოთ დატოვება, რაც ხდება ამ დარგში ადგილობრივათ, ყოვლად შეუძლებელია. რანაირ გადასახადებს არ იგონებენ ადგილობრივ! მარტო ალტაის გუბერნიაში ალმოჩენილ იქნა 155 უკანონო გადასახადი. გადასახადით იბეგრებოდენ ლუმელები, ლუმელის მილები, ეტლები და სხვ.

ჩვენც — ამიერკავკასიის ფარგლებში — არა ნაკლები უკანონო გადასახადები გვაქვს. გლეხობა გადასახადთა აკრეფის ამა თუ იმ განკარგულების კანონიერების თუ უკანონობის საკითხებში ცუდად ერკვევა. ამიტომ ის გადასახადს იხდის მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებულია ადგილობრივ ხელისუფლების განკარგულების კანონიერებაში. ეს გარემოება იწვევს გლეხების მხრივ სამართლიან საყვედურს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

სამტრედიის აღმასკომის მიერ გატარებული იყო ცხოვრებაში დადგენილება ეგრეთწოდებულ სავაჭრო-საბრუნავ დაბეგვრის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად იბეგრებოდა, როგორც კერძო ვაჭრები, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებანი 50 მანეთის რაოდენობით.

ევლახის აღმასკომი საფუთო გამოსაღებს ახდევინებდა ევლახის ხიდზე გატარებისათვის. ადგილობრივ აღმასკომს ხიდზე გატარებისათვის ბეგარის გადახდევინების უფლება ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ ეს ხიდი ადგილობრივ ხელისუფლების ლონისძიებით არის აშენებული. ამიტომ ევლახის აღმასკომის მოქმედება უკანონოდ უნდა ჩაითვალოს.

აგდამის აღმასკომის დადგენილებით დაწესებული იყო ყოველ სულზე უკანონო გამოსაღებთა მთელი რიგი მილიციონერთა ფურაჟის შეძენის მიზნით.

კარაკლისის მაზრის სოფ. კიშლაში დაწესებულია ნატურალური გამოსალები სასოფლო საბჭოთა შესანახად. სამურზაყანოს მაზრაში (აფხაზეთში) შემოღებული იყო ნატურალური გადასახადი სკოლისა, საავათმყოფოს და სხვ. რემონტისათვის. აჭარისტანში შემოღებული იყო მიზნობრივი გადასახადი სავაჭრო-სარეწავ დაწესებულებებზე 10% დანარიცხით გზათა მრეწველობის ფონდისათვის.

გადასახადთა საქმის მოგვარების სიკითხი არა ერთხელ გარჩეულა ამიერკავკასიის ფედერაციის საოლქო უმაღლეს ორგანოებში ყოველწლიურ თვითნებითი გადასახადების მომსპობ ღონისძიებათა მიღების მიზნით. ამის შესახებ არა ერთხელ გამოტანილა შესაფერი დადგენილება.

მიუხედავათ ამისა უკანონო გადასახადებს ადგილობრივ მაინც აწესებენ;

მიმდინარე წელში აღმოჩენილი იქნა შემდეგი უკანონო დაბეგვრანი: ქალ. განჯაში დაწესებულია ჩამოსულ გლეხებზე საბაზრო გადასახადი. ახდევინებენ თითოეულ მუშა-საქონელზე 20 კაპეიკს და ქალაქში გაჩერებულ თითოეულ ურემზე—30 კაპეიკს. ნუხაში და შემახაში საბაზრო გამოსალები გაცემულია იჯარით კერძო პირებზე; ნუხაში—400 მან., და მოიჯარადრეს უფლება ეძლევა თავის შეხედულებისამებრ დაწესოს გამოსალების რაოდენობა და მისი აკრეფის საშუალებანი. ამ უფლების ძალით მოიჯარადრე ნუხაში შემოსულ გლეხს თითოეულ ურემზე თითო მანეთს ახდევინებს მიუხედავად იმისა, დატვირთულია ის თუ არა. შემახაში მოიჯარადრე თითოეულ ხარზე ან კამეჩზე თითო მანეთს ახდენინებს, ცხვარზე კი—30-40 კაპეიკს. განჯაში და ხაჩიაშიც იგივე ხდება, მაგრამ აქ ახდევინებს მოიჯარადრე კი არა,

არამედ კომუნალური აგენტი. აგდამის მაზრაში სასოფ-
ლო-სამეურნეო გადასახადის გამღები გლეხები დამატებით
არიან დაბეგრილნი განსაკუთებულ გამოსაღებით მიღი-
ციისათვის ფურაჟის შესაძენათ.

სომხეთის მაზრების დიდ უმრავლესობაში დაწესებუ-
ლია გლეხებზე ნატურალური გადასახადი სასოფლო საბჭო-
ების შესანახად. იმავე სომხეთში ამიერკავკასიის ს. ს. რ.
საკავშირო საბჭოს 1923 წლის 8 დეკემბრის თარიღით გა-
მოცემულ დეკრეტის თანახმად გრძელდება წისქვილებზე
დაწესებულ გადასახადის აღება. აშკარაა, ეს გადასახა-
დი გლეხს მძიმე ტვირთად აწევს. შემოდის მრავალი სა-
ჩივარი. ეს დეკრეტი ჯერაც არ არის გაუქმებული და ა./კ.
შრომის სახეობი განაგრძობს მის აღებას.

გორის მაზრაში (წალკერში) სამკურნალოდ ჩამოსუ-
ლებსაც ხდებათ გადასახადი, სადაც გადასახადის განაკვეთი
ყველასათვის ერთნაირია მიუხედავათ იმისა, გადამხდელი
მუშაა, თუ მოსამსახურე, ბევრი სულია ოჯახში, თუ
ცოტა და სხვ.

ჩვენ ხელთ არსებულ ცნობების მიხედვით შემჩნეუ-
ლია ბევრგან საქონლისა და ცოცხალი სანოვაგის შემო-
წმებისათვის ვეტერინალურ-სანიტარული გამოსაღების
მრავალგზობითი გადახდევინება. ამ დარგში გატაცება იმ
ზომამდისაც კი მიდის, რომ ვეტერინალურ-სანიტარულ
შემოწმების გამოსაღები იკრიფება იმ პუნქტებშიაც კი,
სადაც არავითარი შემოწმება არ ხდება.

ზემოაღნიშნულ უკანო გადასახადთა და გამოსაღებ-
თა გარდა, ა./კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუ-
ნებული ადგილობრივ ხვდება დაბეგვრის ისეთ სახესაც
კი, რომელსაც აშკარა უმსგავსო ხასიათი აქვს. მაგალი-
თად: ტფილისის აღმასკომი ა/წ. ივლისში იძულებით

ავრცელებდა ტფილისის სახლის მეპატრონეთა შორის სავალდებულო დადგენილებათა კრებულს. ამგვარადვე იყო დაწესებული ტფ. აღმასკომის მიერ ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლისათვის იძულებითი გადასახადი.

ამიერკავკასიის ფედერაციის სოფლებისა და ქალაქების დაწვრილებითი გამოკვლევის დროს ჩვენ შეგვეძლო უამრავ უკანონო გადასახადთა და გამოსაღებთა აღმოჩენა, რომელნიც მძიმე ტვირთად აწვებიან მოსახლეობას.

აშკარა დაუშვებელია ამგვარი უკანონო გადასახადები, განსაკუთრებით სოფლად, სადაც უმთავრესად გლეხობის მშრომელი ნაწილი იტანჯება.

გლეხი საბჭოთა ხელისუფლების შესახებ აზროვნებს ადგილობრივ ხელისუფლების მისდამი კანონიერ თუ უკანონო მოპყრობით. ამიტომაც თვითნებით გადასახადთა მოსპობა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

2. თვითნებით გადასახადებითან ბრძოლა.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი საოლქო მმართველი ორგანოები იღებენ ზომებს მცხოვრებთა უკანონო დაბეგვრისაგან გასათავისუფლებლად. ამ მხრივ გადადგმულია შესაფერისი ნაბიჯები მომავალში ამგვარ დაბეგვრის წინააღმდეგ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საკონტროლო აპარატი ჯერ კიდევ ისე კარგად არ არის მოწყობილი, რომ ადგილობრივ დაბეგვრათა ყველა შემთხვევის აღნუსხვა შეგვეძლოს. თვით მოსახლეობა, განსაკუთრებით სოფლად, კარგად ვერ ერკვევა იმ დადგენილებაში, რომლითაც უკანონო დაბეგვრაა დაწესებული. ეს ხდება უმთავრესად

იმიტომ, რომ დიდი ხანი არ არის, რაც საბჭოთა სახელმწიფოს მიერ კანონიერი საფუძვლით დაწესებული იყო დაბეგვრა, როგორც ფულით, ისე ნატურით.

გარდა ამისა, სხვადასხვა კომისარიატი სხვადასხვანაირად უდებოდა დაბეგვრის საკითხს და თავისებურად აწესებდა გადასახადს. ფინანსთა სახალხო კომისარიატი იღებდა გადასახადს ფულით, მომარაგების სახკომი—ნატურით, შრომის სახკომი—შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის გადასახადის სახით.

მართალია, ყველა ეს გადასახადი გაუქმებულია და მათ ნაცვლად დაწესებულია მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, მაგრამ აღგილობრივ მოსახლეობას ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია ის აზრი, რომ გლეხობა იბეგრება ერთი და არა მრავალი გადასახადით. გლეხის აზროვნებაში გადასახადთა სწორ წარმოდგენის დაკვიდრებას ძლიერ უშლის ხელს აღგილობრივი ხელისუფლების მიერ გადასახადთა დაწესების შესახებ გამოცემული ყოველგვარი უკანონო დადგენილება.

აუცილებლად საჭიროა ზომების მიღება, რომ ადგილობრივ აღარ არსებობდენ თვითნებითი გადასახადები. საჭიროა ამა თუ იმ რაიონში უკანონო დაბეგვრის დაწესებისათვის მოსამსახურე პირი (რა თანამდებობაც უნდა ეჭიროს მას) პასუხისებაში იქნეს მიცემული.

ამასთანავე საჭიროა, რომ უკანონო გადასახადთა აღმოფხვრის საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას მოსახლეობაც დაეხმაროს. ყოველი გლეხი, ყოველი მუშა უნდა სცდილობდეს შეძლებისდაგვარად დაეხმაროს ცენტრალურ ხელისუფლებას აღგილობრივ გადასახადთა შემოლებასთან ბრძოლის საქმეში. ანტისაბჭოთა პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენლები მოხარული იქნებიან

ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ყოველგვარ უკანონო განკარგულების გამოცემით, რომ მცხოვრებთა შორის გამოწვეული უქმაყოფილება თავიანთ პოლიტიკურ მიზნებისათვის გამოიყენონ. ამიტომ ისინი არც მიიღებენ ზომებს თვითნებითი გადასახადების წინააღმდეგ.

ეს გარემოება უფრო მეტად ავალდებულებს მუშებსა და უღარიბეს გლეხობას აკნობონ ხოლმე ცენტრალურ ხელისუფლებას ადგილობრივ ყოველგვარ უკანონო დაბეგვრის შესახებ.

გლეხობას სრული შესაძლებლობა აქვს ებრძოლოს ყოველგვარ უკანონო განკარგულებას. თუ რომელიმე გლეხი, რომელიც კარგად ვერ ერკვევა არსებულ კანონებში, დასვამს საკითხს საზოგადო ორგანიზაციაში ადგილობრივი დაბეგვრის უკანონობის შესახებ, ის აუცილებლად მიაღწევს თავის მიზანს — ამ დადგენილების გაუქმებას. დასასრულ, სოფულად არსებობენ სხვადასხვა სახის კოოპერატიული გაერთიანებანი, რომელთა წარმომადგენლებიც ხშირად ჩადიან ქალაქში. აი ამათ სრული შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სწორი ცნობები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დადგენილებათა კანონიერებისა თუ უკანონობის შესახებ. ამრიგად, ცენტრალურ ხელისუფლებას საშუალება მიეცემა თვალყური ადევნოს იმას, თუ რა ხდება ადგილობრივ ამ დარგში და საჭიროების დროს სასტიკი ზომები მიიღოს უკანონო განკარგულების გამომცემ დამნაშავის წინააღმდეგ. მასთან ერთად ცენტრალურ ხელისუფლება ზომებს მიიღებს უკანონო გადასახადთა დაუყოვნებლივ გაუქმების შესახებ.

3. გლეხობა მხოლოდ მთლიან სასოფლო- სამეურნეო გადასახადს იხდის.

ადგილობრივ ყოველგვარი უკანონო გადასახადების წინააღმდეგ ბრძოლა თუნდ იმიტომაც ადგილდება, რომ სოფლის მეურნე გლეხისათვის დაწესებულია მარტო ერთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. საჭიროა გლეხმა იცოდეს, რომ ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულ კანონის თანახმად ის დაიბეგრება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით. ყოველგვარი განკარგულება (თუ კი მას ადგილობრივი ხელისუფლება გამოსცემს) გლეხობის მიერ სხვა რომელიმე დამატებითი გადასახადის გაღების შესახებ არსებულ კანონების საწინააღმდეგო იქნება და ამიტომ აუცილებელია მათი მოსპობა.

კანონში ნათლად და გარკვევით არის ნათქვამი:

„მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამლები არც ერთ სხვა სოფლის მეურნეობაზე გაწერილ გადასახადით არ იბეგრება, გარდა სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახადისა“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად სხვადასხვა სახის სავალდებულო დაზღვევა კანონით გათვალისწინებული არ არის.

საქართველოში სავალდებულო დაზღვევა შემოლებულია: 1. ცეცხლისაგან და 2. საქონლისა და ცხენების — შემდეგ ქალაქებში: ტფილისსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბათომსა და სოხუმში.

სომხეთში — ერევანსა და ლენინაკანში; აზერბაიჯანში კი — ბაქოსა, განჯასა და ნუხაში.

ის კი, ვინც მხოლოდ სოფლის მეურნეობის შემო-
სავლით ცხოვრიობს, მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასა-
ხადს გარდა არავითარ სხვა გადასახადით არ დაიბეგრება.

შესაძლებელია იყოს ისეთი გლეხიც, რომელიც სოფ-
ლის მეურნეობასთან ერთად მისდევს ვაჭრობას, მრეწ-
ველობას და სხვ. ასეთი გლეხი განსაკურთხებით უნდა დაი-
ბეგროს, რადგანაც ის იღებს შემოსავალს არა მარტო
სოფლის მეურნეობისაგან, არამედ ვაჭრობიდან და მრეწ-
ველობიდანაც. რა თქმა უნდა, მრეწველებს არ მიეკუთ-
ვნებიან ის შინამრეწველნი და ხელოსანნი, რომელნიც
დაუქირავებელ შრომით ეწევიან თავიანთ ხელობას. თუ
ისინი დაბეგრილი არიან მთლიან სასოფლო-სამეურნეო
გადასახადით, მაშინ თავისუფლდებიან სხვაგვარ გადასა-
ხადისაგან ისევე, როგორც სხვა გლეხები, რომელნიც
მხოლოდ სოფლის მეურნეობას ეწევიან.

კანონში ნათქვამია:

„სოფლის ხელოსანნი და შინამრეწველნი, რომელ-
ნიც დაუქირავებელ შრომით ეწევიან თავიანთ ხელობას,
ერთპიროვნულად ან ოჯახის წევრთა დახმარებით (რო-
მელნიც ეკუთვნიან იმავე მეურნეობას, ეზოს), თუ ისინი
იხდიან მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს — თა-
ვისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან. ამასთა-
ნავე საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდებიან
მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამლები ის
ხელოსანნი და შინამრეწველნი, რომელნიც სარგებ-
ლობენ დაქირავებული ერთი მუშა-ხელის შრომით იმ შემ-
თხვევაში, თუ შინამრეწველობას მეურნეობის დამხმარე
ხასიათი აქვს. აღნიშნულ ორივე შემთხვევაში მოზარდი
შეგირდები, არა უმეტეს ორისა, მხვედველობაში არ
მიიღებიან“.

აღმასკომებს შეუძლიანთ გამოიტანონ დადგენილებანი ერთგზობითი გადასახადის დაწესების შესახებ, როგორიცაა მაგალითად: ბაზარში, მოედანზე და სხვა-გან ხელით ტარებითა და ზიდვით ვაჭრობისათვის გადა-სახადი; გადასახადი იმ დახმარებისათვის, რომელსაც აღ-მასკომი უწევს ადგილობრივ მოსახლეობას ხიდის აშენების მიზნით და სხვ.

მაგრამ ეს გადასახადი არ უნდა გაიწეროს იმ შე-მოსავალზე, რომელიც გლეხს სოფლის მეურნეობიდან შე-მოუდის, რადგანაც ამაზე ის უკვე იხდის სასოფლო-სა-მეურნეო გადასახადს.

თუ გლეხს შემოყავს ქალაქში საქონელი გასაყიდათ, მან არ უნდა გადაიხადოს გამოსალები თავის საქონლის გაყიდვის უფლებისათვის. ამნაირადვე არ არსებობს კა-ნონი, რომლითაც გლეხს ხდებოდეს გამოსალები ქალაქ-ში შემოტანილ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გა-ყიდვის უფლებისათვის.

აღმასკომის უფლება აქვს გადაახდევინოს გამოსა-ლები იმ გლეხებს, რომელნიც მომარაგების საგნებით ყიდ-ვა-გაყიდვას აწარმოებენ, რადგანაც პროდუქტების ყიდ-ვა-გაყიდვა აძლევთ მათ თავიანთ ძირითად ხელობის— სოფლის მეურნეობის გარეშე შემოსავალს.

ხშირად სოფლად აწესებენ გამოსალებს სასოფლო და სათემო საბჭოების შესანახად, ან სკოლის, საავათ-მყოფოს, ხიდების შეკეთების და სხვ. საჭიროებისათვის.

თუ ყოველი ეს ონისძიება ცხოვრებაში იძულები-თი წესით ტარდება, მაშინ ის უკანონოდ ჩაითვლება.

მიმდინარე წელში ჩვენ უკვე გადავდივართ სათე-მო—საუბნო და დაირის, ან რაიონულ ბიუჯეტზე, სადაც

ადგილობრივ საბჭოებს აქვთ განსაზღვრული, კანონით
დაწესებული, ანარიცხები არსებულ გადასახადებზე.

4. როგორ ვეძროლოთ უკანონო გადასა- ხადებს.

უკანონო გადასახადთა შემოღების წინააღმდეგ
ბრძოლა ბევრით არის დამოკიდებული თვით გლეხების
სურვილზე. მოსახლეობის ფართო მასების დაუქმარებლად
მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას გაუძნელდება თვითნე-
ბით გადასახადთა წინააღმდეგ ბრძოლა. ყოველი გლეხი
დაინტერესებული უნდა იყოს იმ ღონისძიებებით, რომელ-
თაც საბჭოთა ხელისუფლება იღებს ოველიუციონურ კა-
ნონიერების განსამტკიცებლად. ადგილობრივი ხელისუფ-
ლების ყოველგვარი უკანონობის შესახებ გლეხმა უნ-
და აცნობოს სათემო საუბნო და დაირის აღმასკომს
ან რაიონის აღმასკომს. იმ შემთხვევაში თუ ისინი
უარს იტყვიან უკანონო განკარგულებათა გამცემ
პირთა წინააღმდეგ ზომების მიღებაზე, მაშინ გლეხმა
უნდა მიმართოს სამაზრო საფინანსო განყოფილებას, რო-
მელიც დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ შესაფერ
რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუ-
ნებულს.

გადამხდელს აქვს კიდევ ერთი საშუალება თავის
დროზე შეაჩეროს უკანონო გადასახადის აღება. მას შე-
უძლია მიმართოს მაზრის საპროკურორო ხელისუფლებას,
რომელიც ვალდებულია მიიღოს შესაფერი ზომები.

შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ გლეხს არ სურდეს
ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაწესებულ უკანო-
ნო გადასახადთა წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივის

ალება. მაშინ მას შეუძლია აწარმოოს ბრძოლა ჩვენი გაზეთების მეშვეობით. არც ისე ძნელია ამის შესახებ ეცნობოს გლეხკორს ან წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქეს, რომელიც ამის შესახებ აცნობებს პრესას.

ამნაირად გლეხს მრავალგვარი საშუალება აქვს ებრძოლოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემოღებულ უკანონო გადასახადებს. მხოლოდ გადამხდელ გლეხთა დახმარებით შეეძლება ცენტრალურ ხელისუფლებას მოსპოს თვითნებითი გადასახადები და ამით დაიცავს სოფლის წვრილ მწარმოებელთა ინტერესები.

მხოლოდ უმთავრესია, რომ არც ერთმა გლეხმა არ დატოვოს უყურადღებოთ დაბეგვრის შესახებ ყველა ის უკანონო განკარგულება, რომელიც შესაძლებელია მოხდეს განსაკუთრებით სოფლად.

5. თ ვ ი თ დ ა ბ ე ზ ვ რ ა.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უკანონო დაბეგვრის წინააღმდეგ მთელ რიგ ზომების მიღების შემდეგ, ჩვენ შევხვდით უკანონო დაბეგვრის კიდევ სხვა შემთხვევას—ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრის სახეს. ადგილობრივ ხელისუფლებას სურს გამოიჩინოს ინიციატივა სკოლის, სავათმყოფოს და სხვ. მოწყობის საქმეში. მუშაობის საწარმოებელი თანხები არ არის. მაშინ აღმასკომი მიმართავს ე. წ. თვითდაბეგვრის ხერხს, რომლის ვითარება იმაში მდგომარეობს, რომ გლეხი თვით გამოსთქვამს სურვილს ამა თუ იმ წამოწყებათა სასარგებლოთ გამოსაღების დაწესების შესახებ.

ხშირად თვითდაბეგვრა ისეთი ფორმით ტარდება ცხოვრებაში, რომ იგი გადასახადების ყველაზე ცუდ სა-

ხეს ლებულობს და რომელიც გადასახადთა შესახებ არსებულ არც ერთი კანონით არ არის გათვალისწინებული. იმართება ყრილობა, რომელსაც ორი-სამი ინიციატორის ზეგავლენით, ხშირად უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ, გამოაქვს დადგენილება ამა თუ იმ საქმის სასარგებლოთ სპეციალური დაბეგვრის დაწესების შესახებ. ამავე დროს მხედველობაში არ იღებენ იმ გლეხთა მოსაზრებებს, რომელთაც არ სურთ თვითდაბეგვრაში მონაწილეობის მიღება. ყრილობის დადგენილებით უნდა დაიბეგრონ როგორც ისინი ვინც ხმა. მისკა თვითდაბეგვრას, ისე ისინიც, რომელნიც არც კი დასწრებიან ყრილობას. დადგენილება იძულებითი წესით ტარდება ცხოვრებაში ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობით. თვითდაბეგვრის ასეთი სახე და მისი ცხოვრებაში გატარების ეს წესი არის უკანონო გადასახადთა ყველაზე უფრო ცუდი სახე.

სადღა არის ასეთ თვითდაბეგვრაში გლეხთა სურვილისამებრ მონაწილეობა, თუ კი დადგენილება გამოტანილია ბევრი მათგანის სურვილის წინააღმდეგ და მისი აკრეფა სწარმოებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იძულებითი წესით?

ჩვენში „თვითდაბეგვრა“ გლეხთა შორის ყველაზე უფრო ცუდი სახით ა/კ. წყალთა მეურნეობის ორგანოების მიერ ტარდება. ა/კ. სახკომისაბჭოს 1923 წლის აგვისტოს 13-ის დადგენილების თანახმად ა/კ. წყალთა მეურნეობას უფლება მიეცა დაინტერესებულ გლეხთა კოლექტივებთან და წყალთა დაწესებულებების მეპატრონეებთან პირობითი შეთანხმებით წყალთა აღმინისტრაციის შესანახად საჭირო ფულისა ან ნატურალური ბეგარის დაწესებისა. ეს დადგენილება ა/კ. წყალთა მეურნეობის ადგილობრივმა ორ-

განოებმა ისე გაიგეს, თითქოს მათ უფლება ჰქონდათ
თვით დაწესებიათ წყალზე გადასახადი, ა/კ. წყალთა
მეურნეობის აგენტთა ჯამაგირების ოროდენობა და სხვ.
ჩვენ ხელთ არსებულ უტყუარ საბუთების მიხედვით, წყალ-
თა მეურნეობის ადგილობრივი წარმომადგენლები ყოველ
ნაბიჯზე არღვევდენ ზემოაღნიშნულ დადგენილებას და
დაინტერესებულ პირებთან შეთანხმების ნაცვლად თვი-
თონ გამოჰქონდათ ცალმხრივი დადგენილებანი წყლის
საქმის სასარგებლოთ გლეხთა დაბეგვრის შესახებ. ჩვენ
ხელთ არის ყაზახის წყალთა ოლქის ხარჯთაღრიცხვის
განმხილველ კომისიის 1924 წლის აგვისტოს 27-ის სხდო-
მის ოქმი, საიდანაც სჩანს, რომ ა/კ. სახეობისაბჭოს დად-
გენილებანი ყოველგვარ პატივსადებ მიზეზის გარეშე ირ-
ღვევოდა. შეიკრიბენ წყალთა მეურნეობის წარმომადგე-
ნელნი—ყაზახის წყალთა ოლქის გამგე—ზაიცევი და აქ-
სტატის წყალთა რაიონის რწმუნებულთა საბჭოს წევრე-
ბი და გამოიტანეს დადგენილება ჯამაგირების დანიშვნის
შესახებ: მირაბს — 70 მან., მირაბის თანაშემწეს — 30 მან.,
მე-9 კატეგორიის საქმისმწარმოებელს — 35 მან. და მირა-
ბის განკარგულებაში მყოფ მილიციონერს — 25 მან., ამ
საკითხის გადაწყვეტას დაესწრენ მაზრის აღმასკომის
თავმჯდომარის მოადგილე, მიწათმოქმედების განყოფი-
ლების გამგე, რომელნიც აღბათ იშიტომ იყვნენ მოწვე-
ულნი, რომ დადგენილებისათვის იმ ადგილობრივ გლე-
ხობასთან შეთანხმების ხასიათი მიეცათ, რომლის ხარჯი-
თაც უნდა მოეხდინათ ამ დადგენილების რეალიზაცია.
გლეხობამ ამ დადგენილების შესახებ აღბათ მას შემდეგ
გაიგო, რაც მათგან ფულის აკრეფა დაიწყეს. ამას ეწო-
დება დაინტერესებულ პირებთან „შეთანხმება“, რომე-
ლიც გათვალისწინებულია ა/კ. სახეობისაბჭოს დადგენი-

ლებაში. შეიკრიბენ, დაინიშნეს ჯამაგირი და დაიშალენ.

ამ „შეთანხმების“ დამატებათ სხდომას, როგორც ეს სჩანს ზემოაღნიშნულ ოქმიდან, გამოაქვს დადგენილება იმის შესახებ, რომ რწმუნებულთა საბჭოს წევრებს, რიცხვით 4 კაცს, თითოეულ სხდომისათვის მიეცეთ ორორი მანეთი 1924 წლის 1 იანვრიდან.

ამგვარი „შეთანხმება“ აშფოთებდა გლეხებს, რომელთაც საბჭოსა ადგილობრივ ორგანოების შემწეობით არა ერთხელ უცნობებიათ თავისი უკმაყოფილება ცენტრალურ ხელისუფლებისათვის საჭირო ზომების მისაღებათ. ამგვარ უკანონო გამოსაღებთა და გადასახადთა თავიდან ასაცილებლათ ა/კ. სახკომსაბჭოს 1924 წლის სექტემბრის 29-ს გამოაქვს განსაკუთრებული დადგენილება, რომელშიც ნათლად და გარკვევით აღნიშნავს გლეხთა ნებაყოფლობითი გაერთიანების აუცილებლობას წყალთა მეურნეობის სასარგებლოთ გლეხთა დაბეგვრის შესახებ დადგენილებების გამოსატანად.

მიუხედავათ ყველა ამისა ა/კ. წყალთა მეურნეობის ადგილობრივი წარმომადგენლები მაინც განაგრძობენ თავიანთ ღირსშესანიშნავ სხდომებს გლეხთა დაბეგვრის მიზნით,— 1924 წლის ოქტომბრის 29-ს სხდომას გამოაქვს დადგენილება წყლით მოსარგებლეთა დაბეგვრის შესახებ: ხახით დათესილ სარწყავი მიწის თითოეულ დესიატინისა— $5\frac{1}{2}$ კაპეიკით, ადგილობრივ ტიპის წისქვილის—57 კაპეიკით და სხვ. ეს დადგენილებანი იძულებითი წესით ტარდებოდენ ცხოვრებაში ადგილობრივი აღმინისტროვის მონაწილეობით. ამას ამოწმებს ყაზახის სამაზრო აღმასკომის ყაზ. სამაზრო საფინანსო განყოფილებისადმი პასუხი 1924 წლის 2 ნოემბრის თარიღით და 5333 №-ით. ყველა ეს იმას გვეუბნება, რომ ა/კ. სახკომსაბჭოს დად-

გენილებას წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოები არავითარ ანგარიშს არ უწევდენ. უკანონო გამოსალებები განაგრძობდენ არსებობას, რაც თავის მხრით კიდევ უფრო მეტად აუარესებდა მწარმოებელ-გლეხების საარსებო პირობებს. ყაზახის სამაზრო საფინანსო განყოფილება ა/კ. ფინსახურმისადმი ა/წ. 6 მაისის მიმართაში აცნობებს მას, რომ ამგვარი „ნებაყოფლობითი შეთანხმებანი“ ყაზახის გლეხობას 25 ათას მან. უჯდება. ეს თანხა მთელი მაზრის სათემო წლიურ ბიუჯეტს უდრის. მომარაგების პროდუქტების აკრეფა ხდება შესაფერ კონტროლის გარეშე, როგორც სახელმწიფოს, ისე ადგილობრივი მოსახლეობის მხრივ, რომელიც (ადგილობრივი მოსახლეობა) ფულისა და მარაგის გაღების ყველა საჭმეს საბჭოთა ცენტრალურ ხელისუფლების მიერ დაწესებულ გადასახადათ სთვლის. ნამდვილათ კი ამგვარ გამოსალებს, კანონის სწორი შინაარსის მიხედვით, შეიძლება ადგილი ექნეს თვით გლეხთა ნამდვილ ნებაყოფლობით შეთანხმების პირობებში.

6. როგორ უნდა ტარდებოდეს თვითდაბეგვრამა.

ჩეენ უკვე მოვიხსენიეთ ა/კ. სახურმსაბჭოსა და ცაჯის 1904 წლის 29 სექტემბრის დადგენილება იმის შესახებ, რომ ადგილობრივი საჭიროების დასაქმიაყილებლად ყოველგვარი თვითდაბეგვრა უნდა ხდებოდეს მთავროდ ნებაყოფლობით. თვითდაბეგვრისას არავითარ იძულებით ზომას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. კანონი ამბობს:

„მოხახლეობის თვითდაბეგვრა ადგილობრივ საზოგადოებრივ ყოველნაირ მოთხოვნილებათა დასაკმა-

ყოფილებლათ (სწავლა-განათლების, სამკურნალო, ხო-
ციალურ უზრუნველყოფის დაწესებულებათა შენახვა,
აგრეთვე ადგილობრივ კეთილმოწყობის საჭიროებათა
დაკმაყოფილება) დაშვებული უნდა იქნეს მოქალაქეთა
მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე,
რომლებიც ამ მიზნით ერთდებიან დადგენილ წესით
ნებადართულ ორგანიზაციებად, ან ნებაყოფლობით
იღებენ თავის თავზე განსაზღვრულ გალდებულებებს“.

აშკარაა, თვითდაბეგვრის შესახებ დადგენილება
გამოტანილი უნდა იქნეს თვით გადამხდელების თანხმო-
ბით. კანონს გათვალისწინებული აქვს ისეთი შემთხვევაც,
როდესაც ყრილობას ან კრებას ამა თუ იმ გზით თავს
მოახვევენ თვითდაბეგვრის შესახებ დადგენილებას.
ვსოდეთ, რომელიმე გლეხი არ დასწრებია იმ კრებას,
რომელზედაც გამოტანილი იყო თვითდაბეგვრის შესახებ
დადგენილება. მიუხედავათ ამისა მას აიძულებენ გადაი-
ხადოს და ამას ეწოდება თვითდაბეგვრა. ამავე პირობებ-
შია ის გლეხიც, რომელმაც თვითდაბეგვრის წინააღმდეგ
მისცა ხმა. ამგვარ უსამართლო დადგენილების თავიდან
ასაცილებლათ, როდესაც გლეხს არ სურს თვითდაბეგვ-
რაში მონაწილეობის მიღება, ა/კ. ცაკისა და სახკომსაბ-
ჭოს დადგენილებაში არის განსაკუთრებული პუნქტი,
რომელიც ამბობს: „თვითდაბეგვრის შესახებ დადგენი-
ლება, რომელიც მიღებული იქნება ყრილობაზე, სხდო-
მაზე, ან სხვა სახელწოდების კრებაზე დამსწრე მოქალა-
ქეთა ხმის უმრავლესობით, საგალდებულო არ არის იმ
პირთათვის, რომელიც კრებას არ დასწრებიან, ან თუ
დაესწრენ, ხმის მიღებაში მონაწილეობა არ მიუღიათ,
ან თვითდაბეგვრის წინააღმდეგ მიხცეს ხმა“.

საოლქო უმაღლეს ხელისუფლების ეს დადგენილება ყოველ გლეხს იმის სრულ გარანტიას აძლევს, რომ მას მისი სურვილის წინააღმდეგ თვითდაბეგვრის სახით არ დაბეგრავენ.

შემდეგ, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ თვითდაბეგვრის შესახებ დადგენილება ცხოვრებაში ადგილობრივ ადმინისტრაციის მონაწილეობის მიუღებლათ უნდა ტარდებოდეს. იქ, სადაც გამოსალები იკრიფება ხელისუფლების ძალდატანებით, დაწესებულ თვითაბეგვრაში ნებაყოფლობით მონაწილეობის მიღებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. კანონით ესეც გათვალისწინებულია, რადგანაც იქ ნათლად და გარკვევით არის ნათქვამი, რომ: „ადგილობრივი ფინანსისური და ადმინისტრატიული ორგანოების მონაწილეობა (სასოფლო ორგანოების გამოუკლებლათ) თვითდაბეგვრის დაწესების საქმეში, დავის გადაწყვეტაში, იმ გამოსალებთა აკრეფაში, რომელიც ითვლებიან ცალკე მოქალაქეებზე თვითდაბეგვრის წესით, აკრძალულია გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია ზემომოყვანილ მე-3 მუხლში“.

მესამე მუხლი კი ამბობს, რომ ყოველგვარი დავა, რომელიც აღიძვრება თვითდაბეგვრის საკითხის ირგვლივ, შეიძლება გადაწყდეს სასამართლოს წესით.

ეს დადგენილება აღნიშნავს თვითდაბეგვრის პრინციპის ცხოვრებაში გატარების წესს. მეორეს მხრივ ეს დადგენილება მოწმობს, რომ ჩვენში თვითდაბეგვრის შემთხვევათა აურაცხელ რაოდენობას აქვს აღგილი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო.

7. თვითდაგმებრის სისწოლისათვის თვალ- ურის დევნება.

ფინასთა ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ თვით-დაბეგვრის შესახებ კანონის დამრღვევ დამნაშავე პირთა წინააღმდეგ ზომების დაუყოვნებლივ მიღება. ადგილობრივ ხელისუფლების ყველა უკანონო მოქმედების შესახებ უნდა ეცნობოს ადგილობრივ ფინორგანოებს (ფინგანულ-ფილება, ფინინსპექტორი), რომელნიც საპროკურორო ხელისუფლების წარმომადგენელის დახმარებით იღებენ შესაფერ ზომებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფინსახკომის ადგილობრივ ორგანოებს არ შეუძლიანთ ნაყოფიერი ბრძოლა აწარ-მოონ თვითნებითი გამოსალების წინააღმდეგ, თუ გადამხდელნი და საზოგადოთ დაინტერესებული პირნი საფინანსო ორგანოებს არ მიაწოდებენ ცნობებს ამის შესახებ.

მოსახლეობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცემული კანონები მტკიცედ ტარდებიან ცხოვრებაში და არავითარ ძალას არ შეუძლია ამ კანონების დარღვევა.

ხშირად მიმართავენ ხოლმე თვითდაბეგვრას სკოლის ან საავათმყოფოს აშენებას მიზნით, თუმცა იმთავითვე იციან, რომ მარტო მოსახლეობა ვერ შესძლებს თავის ძალებით მის დამთავრებას. ჩვეულებრივათ, ასეთ შემთხვევაში შენებას იწყებენ იმ იმედით, რომ იმთანხას, რაც მათ დააკლდებათ საქმის დასამთავრებლათ, მთავრობისაგან მიიღებენ. მთავრობა კი ამის შესახებ შენების დაწყების შემდეგ ტყობილობს. ხშირად საქმე იმით თავდება, რომ მოსახლეობა დახმარებას ვერ იღებს და და-

წყებული საქმე დაუმთავრებელი რჩება. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა ორნაირად უკმაყოფილოა საბჭოთა ხელისუფლებით, რომლის ბიუჯეტით გათვალისწინებული არ იყო ხარჯები ისეთ სკოლების და საავათმყოფოების ასაგებათ, რომელიც თვითდაბეგვრის წესით იყო დაწყებული.

ამნაირ ღონისძიებებით ჩვენ მცხოვრებთა ფართო მასებში ხელოვნურათ შევქმენით უკმაყოფილების პირობები.

ყოველი მოქალაქე ვალდებულია სახელმწიფო ბეგარა მოიხადოს და ამით მონაწილეობა მიიღოს იმ საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში, საღაც ის სცხოვრობს და რომელიც მას იცავს. თვითდაბეგვრის წესით შემოღებული ყოველგვარი გადასახადის გაღება სავალდებულოა მისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მას სურს და თუ მან მონაწილეობა შიიღო ამ გამოსაღებთა დაწესებაში. ამ კანონიდან ყოველგვარი გადახრა იწვევს მოსახლეობის მხრივ საბჭოთა ხელისუფლებისადმი უპატივცემლობას და ამიტომ რევოლიუციონურ კანონების მთელი სისასტიკით უნდა იდევნებოდეს.

8. ნებაყოფლობითი გამოსაღები და შემოწირულება.

უკანონო დაბეგვრას უნდა მივაკუთვნოთ ეგრედ-წოდებული თვითნებითი გამოსაღები და შემოწირულება. უკანონო გადასახადის ეს სახე მასიურ ხასიათს ღებულობს. მას არა მარტო ადგილობრივი ხელისუფლების, არამედ ცალკე კომისარიატების, ორგანიზაციების, ჯგუფების და სხვ. წარმომადგენლებიც მიმართავდენ. ამა თუ

იმ დაწესებულების რომელიმე კულტკომისიას გა-
მოაქვს დადგენილება კულტურულ მუშაობის გაფართოე-
ბის შესახებ. ამ მიზნით ზევიდან განკარგულებას იძლე-
ვიან თანამშრომლების ჯამაგირიდან განსაზღვრულ პრო-
ცენტრის დაკავების შესახებ. გარდა ამისა ხშირად, რომელი-
მე საზოგადოებრივ მნიშვნელობის შენობის ასაგებათ შემო-
წირულება იკრიფება. ამ მიზნით ინიშნება სპეციალური
აკრეფი, რომელიც ადმინისტრაციის დახმარებით შეუდ-
გება გამოსალებთა აკრებას. ასეთ შემოწირულებათა
აკრეფას შეიძლება ადგილი ექნეს მთავრობისაგან ამის
შესახებ განსაკუთრებული ნებართვის მიღების შემდეგ.
ხშირათ მოქალაქეთაგან ადგილობრივ ან სახელმწიფო
გადასახადების აკრეფის დროს სათანადო დაწესებულე-
ბანი გადასახადების შემტანთ რაიმე მარკას ან ჩვენი პა-
სუხისმგებელ ამხანაგების სურათებს თავს ახვევენ. ამგვა-
რივე მოვლენას ადგილი აქვს რკინისგზის ბილეთების
ყიდვის დროს. ყველაფერი ეს ცხოვრებაში უკმაყოფილე-
ბას იწვევს, რაც საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს
ეწინააღმდეგება. ყოველი გადასახადის შემტანი, იქნება
ის გლეხი, ხელისანი, ვაჭარი თუ რომელიმე მოიჯარად-
რე, ამნაირად მსჯელობს: მას დადგენილ რაოდენობით
გადასახადი შეატანიეს და ამას გარდა გადასახადის გა-
რეშე კიდევ რაღაც გამოართვეს. ზედმეტი თანხის გამორ-
თმევით ის ისეთ ადამიანის მდგრამარეობაში დგება, რო-
მელსაც უსამართლოთ განსაზღვრული თანხა წაგლიჯეს.

ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ აუცილებელია ზომე-
ბის მიღება, რადგან არავის უფლება არა აქვს არსებუ-
ლი კანონები უსამართლოდ შეავსოს და ამით ცენტრა-
ლური მთავრობის მიერ დადგენილი წესიერება დაარ-
ღვიოს.

9. კანონი ნებაყოფლობით გამოსაღებთა შესახებ.

უფლებათა ამგვარი დარღვევის აღმოსაფხვრელად და მცოვრებთა მიერ იძულებითი წესით ზედმეტი ხარჯების გაღების მოსპობის მიზნით ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს ჯერ კიდევ 1924 წლის 5 სექტემბრის №266 დადგენილება გამოაქვს:

1. ყოველგვარი ნებაყოფლობითი გამოსაღების დაწესება და რაიმე მიზნებისათვის შემოწირულებათა აკრეფა შესაძლებელია ს. ს. რ. კავშირის ან ქვემდებარე მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა სამსახურისა, დაგილობრივი საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტისა ან და მის შესაბამ ორგანოს მიერ ყოველ ცალკე შემთხვევისათვის განსაკუთრებულ ნებართვის გაცემის შემდეგ, იმისდამიხედვით, აღნიშნულ გამოსაღებთა და შემოწირულებათა აკრეფა განზრაცხულია ს. ს. რ. მთელი კავშირის ან და ცალკე საკავშირო ან ავტონომიური რესპუბლიკის ან რესპუბლიკის რამდენიმე გუბერნიის ტერიტორიაზე, თუ მხოლოდ ერთი რომელიმე გუბერნიის ან მის შესაბამ აღმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულის ფარგლებში.

უნიშვნა. აღნიშნული მუხლის მოქმედება არ ვრცელდება: ა) იმ გამოსაღებებზე, რომლებსაც ჰქონებან ინზენირები მხოლოდ თავიანთ წევრთა შორის კანონით ნებადართულ მიზნებისათვის ამ გამოსაღებთა შესახებ დადგენილ წესით დამტკიცებულ დებულებათა ან წესდებათა თანახმად; ბ) თვითდაბეგვრის წესით დადგენილ გამოსაღებებზე, რომლებსაც ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 29 აგვისტოს დადგენილება აწესრიგებს.

2. ყოველგვარი დაწესებულება, სახოგადოება ან პირი, რომელსაც სურს 1. მუხ. აღნიშნულ ნებაყოფლობით გამოსაღებთა ან შემოწირულებათა აკრეფა, ვალდებულია მიმართოს დასაბუთებულ შუამდგომლობით გამოსაღებთა ან შემოწირულებათა მიზნის, ვადის,

რაოდენობის და ფორმის აღნიშვნით სათანადოთ ს. ს. რ. კავშირის ან ქვემდებარე მოკავშირე რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ან და ადგილობრივ საგუბერნიო ფინანსიურ განყოფილებას, რომელიც თავიანთი დასკვნით აღნიშნულ შუამდგომლობას მის მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში საკითხის გადასაწყყვეტით 1 მუხ. აღნიშნულ ერთ-ერთ დაწესებულებაში წარადგენენ კუთვნილებისამებრ. აღნიშნულ ნებართვის მიღებამდე რომელიმე გამოსალებისა ან შემოწირულების აკრეფა დაუშვებელია.

3. დადგენილ წესით ნებადაროტულ ნებაყოფლობით გამოსაღებთა ან შემოწირულებათა აკრეფა შეიძლება დაშვებულ იქნეს იმ ფარგლებსა და პირობებში, რომელიც აღნიშნული ამისათვის სათანადოთ გაცემულ ნებართვაში და კერძო მოქალაქეთა ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძვლებზე; რომელთაც სურთ აღნიშნულ აკრეფაში მონაწილეობა მიიღონ ან ესა თუ ის შემოწირულება გიოლონ; მასთან ორც ერთი მოქალაქე არ შეიძლება ვაიძულოო გადაიხადოს გამოსალები და შემოწირულება. მათ გადახდაზე უარის თქმისათვის არ შეიძლება მოქალაქის დაჯარიმება ან მისი დევნია.

4. აკრძალულია როგორც ნებაყოფლობით გამოსაღებთა და შემოწირულებათა აკრეფასა და მათ ორგანიზაციაში მართველ ორგანიუბის (მიღლიციის, აღმინისტრატიული განყოფილებების და სხვ.) მონაწილეობის მიღება, ისე მათ მიერ რაიმე განკარგულების, ცირკულიარების ან აღნიშნულ გამოსაღებთა ჩასატარებლად მოწოდებათა გამოშვება. დამნაშავე პირნი დათხოვნილ იქნებიან მათ მიერ დაკავებულ თანამდებობიდან და უფლების გადაჭირებისათვის— მიცემულნი სისხლის სამართალში.

შენიშვნი. სახლების სამმართველოებს ეკრძალებათ მცხოვრებლებში რაიმე გამოსაღების ან შემოწირულების აკრეფა, გარდა საბინაო ამხანაგობათა წევრებს შორის ასაკრეფა გამოსაღებისა, რომელიც საბინაო ამხანაგობათა შესახებ გამოცემულ წესდებითა გათვალისწინებული.

5. ყოველგვარი დაწესებულება, საზოგადოება ან პირი, რომელიც რაიმე გამოსაღებს ან შემოწირულებას ჰქონეთ ამისათვის დადგენილ წესით გამოცემულ გადაწყვეტილების ნებადაურთველად ან ამ დადგენილებას რითომე დაარღვევს, პასუხისმგებაში იქნება მიცემული სათანადო საკავშირო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამ მუხლების თანახმად.

ამასთან ერთად ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომი-
სარიატი აძლევს ცალკე რესპუბლიკებს — რესპუბლიკანურ
ფინორგანოებს შემდეგი ხასიათის ცირკულიარულ განკარ-
გულებას.

1. მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები ადგილობრივ რაიმე გა-
მოსალებთა და შემოწირულებათა მუსასპობათ, თუ მათ ასაკრეფათ
ს. ს. რ. კავშირის, ცაკისა და სახკომისაბჭოს ამა წლის 5. სექტემ-
ბრის დადგენილების 1 და 2 მუხლებში გათვალისწინებულ წესით ორ
არის მიღებული შესაბამი ნებართვა და შემდეგში ამისთვის დაწე-
სებულ ნებართვის უქონლად ასეთ გამოსაღების ან შემოწირულე-
ბის აკრეფის შემთხვევაში დამნაშავე პირნი მიცემულ იქნან პასუ
ხისგებაში თანახმად იმავე დადგენილების მე-5 მუხლისა.

2. ფინორგანოებმა აღრიცხავშე უნდა იყენონ ყოფელი გუ-
ბერნიის ფარგლებში ყველა ის ორგანიზაცია, რომელსაც ნებაყოფ-
ლობითი გამოსაღების და შემოწირულობის აკრეფის სათანადო ნე-
ბართვა აქვს და საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის სავალ-
დებულო დადგენილების გამოცემით საგუბერნიო ფინგანებში მათხე
გაცემული ნებართვები რეგისტრაციაში გაატარონ.

3. ნებაყოფლობით გამოსაღებთა ან შემოწირულებათ აკრე-
ფის ნებართვის მისღებათ სხვადასხვა ორგანიზაციათა შუამდგომ-
ლობის განხილვის დროს, ფინორგანოებმა მხედველობაში უნდა
მიიღონ, რომ საგუბერნიო აღმასკომებს უფლება აქვთ აღნიშნული
ნებართვები მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცენ, როცა აღნიშნულ
გამოსაღებთა და შემოწირულებათა აკრეფა განზრახულია მხოლოდ
ამ გუბერნიის ფარგლებში და სხვა გუბერნიაზე არ ვრცელდება.
მაშასადამე, საგუბერნიო აღმასკომების საბოლოო გადაწყვეტილებას
ექვემდებარება ადგილობრივ ორგანიზაციათა მხოლოდ იმ ნაწილის
შუამდგომლობა, რომლის მოქმედება ამ გუბერნიის ფარგლებში
სწარმოებს და მის საზღვრებს არ სცილდება. სხვა დანარჩენ შემ-
თხვევაში საჭიროა ს. ს. რ. კავშირის, ან ქვემდებარე მოკავშირე
ან ავტონომიურ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ნებარ-
თვა იმისდამისედვით, გამოსაღების ან შემოწირულების აკრეფია
განზრახულია მთელი კავშირის, ან ცალკე მოკავშირე ან ავტონო-
მიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ რესპუბლიკის მხოლოდ
რამდენიმე გუბერნიის ფარგლებში.

4. ფინორგანოებს ევალებათ მუდმივი თვალყური ადევნონ, რომ ადგილობრივ გამოსაღებთა და შემოწირულებათა კრეფიმ არავითარ შემთხვევაში იძულებითი გამოსაღების ხასიათი არ მიიღოს და რომ მათი კრეფის დროს არავითარი იძულებითი ზომა არ იქნეს მიღებული ამ გამოსაღებთა და შემოწირულებათა გადახდაშა მოქალაქეთა მონაწილეობის მისაღებათ.“

ყველა ეს განკარგულება ამიერკავკასიისათვისაც არის სავალდებულო.

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ნებაყოფლობითი შემოწირულებანი, ერთის მხრით, შეიძლება დაშვებულ იქნებ მხოლოდ მთავრობის ნებართვით და, მეორეს მხრით, მათ იძულებითი ხასიათი არ უნდა ექნეთ.

იმ შემთხვევაში, თუ გლეხმა შეამჩნია, რომ ვინმებ მოისურვა არსებულ კანონით გათვალისწინებულ გადასახადთა გარდა კიდევ რაიმე თანხა შემოწირულების სახით იძულებით გამოართვას, მაშინ მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ფინორგანოს დამნაშავეთა პასუხისმგებაში მისაცემად.

მხოლოდ თვით მოსახლეობის ასეთი დახმარებით ჩვენ საშვალება მოგვეცემა მოესპოთ ყველა ის უკანონო განკარგულება, რომელიც როგორც მუშებისა, ისე გლეხების სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

33

825